№ 209 ოქტომბერი 3, ოთხშაბათი 1890 ოქტომბერი 3, ოთხშაბათი № 209

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

1891 წ. იანვრის თვიდგან

ქ. ტფილისში

გამოიცემა, ორ თვეში ერთხელ, საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-მდე გვერდი დიდის ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები მოგზაურობის და შესანიშნავ კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იკავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო პოეტებმა და მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისსა, ბათუმსა და გორში ეღირება 75 კ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება.

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8)
2) ქუთაისში—ევ. ნიკოლაძისას
3) გორში—ევ. ფურცელაძისას.
4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*

(5—4) რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

დ. ი. კეზელი

აწარმოებს სისხლის სამართლის და გამიჯვნის საქმეებს (Уголовныя и межевыя дѣла.) ვერა, აგურის ქუჩა, განჯუმოვის სახლი. (20—7)

სათეატრო განცხადება

ვისაც ჰსურს ემსახუროს ქართულს სცენას, მიჰმართოს ბ-ნ ვ. ა. აბაშიძეს ქართულს თეატრში დილის 10 საათიდგან 12-მდე. (10—10)

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 2 ოქტომბერს, დილის ამბით დაასაფლავეს ჩვენი დაუვიწყარი პოეტი თ. ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი. ჯერ დილის 10 საათზევე დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა განსვენებულის სადგომში, ყორღანოვის ახალს ქუჩაზედ, და მიუსამძიმრეს ჭირისუფლებს. მეთერთმეტე საათი იყო, როცა გამოასვენეს მიცვალებული სახლიდგან და გაუდგნენ სიონის ტაძრის გზას. ცხედარს უკან მიჰყვებოდა სამხედრო მუსიკა, ხორო ელნიაშვილისა, ხორო ეგზარხოსისა და ჯარი ზარბაზნებითურთ. განსვენებულის დასაფლავებას თითქმის ყველა ტფილისის წარჩინებული კაცი დაესწრო, განსაკუთრებით სამხედრო წოდებისანი. სწირა და ანდერძი აუგო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ კრებულითურთ. წირვას შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს ჯერ მ. ზაქარია გძელიშვილმა და მერე ეპისკოპოსმა ალექსანდრემ. განსვენებულის კუბო სხვათა შორის შემკობილი იყო შემდეგის გვირგვინებით:

— სული მიკვნესის,
გული ჩემი მწარედ დონდება,
რა საქართველოს
მწარე ბედი მომაგონდება.

— წევრს დამფუძნებელს თ. ვახტანგ ჯამბაკურიან-ორბელიანს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან.

— ტფილისის სათავად - აზნაურო სკოლისაგან თ. ვახტ. ჯამბაკ.-ორბელიანს.

— Отъ „Новаго Обозрѣнія“ грузинскому поэту князю Вахтангу Джамбакуръ-Орбеліани.

— ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობისაგან.

— საუკუნოდ არს სახსენებელი შენი ჩვენ შორის. „ივერია“.

⁂ გუშინ, ამ თვის 1-ს, ღამის საფოსტო და სახალხო მატარებლის ბათუმიდგან ტფილისში მოსვლას შემდეგ „არტელშჩიკმა“ გამოუცხადა ჟანდარმებს, რომ მცხეთასა და ტფილისს შუა მომპარეს 35,000 მანეთიო.

⁂ ფინანსთა მინისტრმა სტატს-სეკრეტარმა დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკმა ვიშნეგრადსკიმ ამ თვეის პირველს გზად გაიარა მუხრანში, სადაცა დაათვალიერა თ. ივ. მუხრან-ბატონის მარანი. მინისტრმა ისადილა მუხრან-ბატონის სახლში და შემდეგ ბათუმისკენ წაბრძანდა.

⁂ მცხეთობის დღესასწაულს წელს დიდი ხალხი დაესწრო, მრავალნი იყვნენ ახლო-მახლო სოფლებიდამ მოსულნი და უფრო მეტნი კიდევ—ტფილისიდამ ამოვიდნენ. ექვსჯერ ავიდა ტფილისიდამ ცალკე მატარებელი და დიდძალი ხალხი აასხა. მწირველი ბრძანდებოდნენ ეპისკოპოსნი გორისა ალექსანდრე და ბესარიონ ალავერდელი სამღვდელოთა კრებულითურთ. წირვას შემდეგ წარმოთქმულ იქმნა შესაფერი მოძღვრება არქიმანდრიტის ნიკოლოოზის მიერ. შემდეგ შემოუარეს ეკკლესიას ლიტანიით და მერე გარდახდილ იქმნა პარაკლისი.

⁂ 29 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგა მორიგი კრება „ქართველთა ამხანაგობისა წიგნების ბეჭდვისათვის“. კრებაზე დაესწრო 19 წევრი პროვინციებში მყოფ წევრთა მიერ წარმოგზავნილის ექვსის რწმუნების წერილით. პირველად კრებას მოხსენდა გარდაცვალება თავ. ვახტანგ ჯამბაკურიან-ორბელიანისა. ამხანაგობის წევრნი ფეხზე წამოდგნენ ნიშნად პატივის ცემისა და მიანდვეს გამგეობას დასაფლავების დღეს გვირგვინით შეამკონ კუბო განსვენებულისა. შემდეგ განიხილეს 1 სექტემბრისათვის შედგენილი მოკლე ანგარიში, საიდამაც სჩანს, რომ ამხანაგობას შემოსავალი ჰქონია 1,552 მან. 37 კაპ. დაუბეჭდია სამი წიგნი. ამათში ორი უკვე ისყიდება და მესამე ამ დღეებში გადაეცემა წიგნის მაღაზიას გასასყიდად. კრებამ გარდასწყვიტა ერთხმად, გაეგზავნოს ამხანაგობის-მიერ დაბეჭდილი წიგნები „წერა-კითხვის გამავრცელებ. საზ.“-ს სკოლებს და წიგნთ-საცავს თითო ცალი, წინამძღვარიანთ-კარის სკოლას ორი ცალი და უნივერსიტეტებს, სადაც ქართველები სწავლობენ — თითო ცალი, შემდეგ იქმნა ამორჩეული ახალი ადმინისტრატორი, ნაცვლად გრ. ჩარკვიანისა, რომელმაც მაისშივე ითხოვა განთავისუფლება ამ თანამდებობისაგან. დასასრულ კრებას მოხსენდა სურვილი ერთის არა-წევრისა, რომელიც ითხოვდა წერილით ამხანაგობის წევრად მიმიღეთო. კრებამ კენჭი უყარა და 16 ხმის უმეტესობით უარ-ჰყო თხოვნა. ამხანაგობას ხუთის თვეის განმავლობაში მიუღია 31 ახალი წევრი იმათ გარდა, რომელნიც ამას წინად იყვნენ დასახლებულნი გაზ. „ივერიაში“. 27 ს. ფული უკვე შეუტანია, ხოლო ოთხს ჯერ არ წარუდგენიათ. ამხანაგობამ მას აქეთ, რაც არსებობს, მხოლოდ ამ ერთს მსურველს უთხრა უარი და არ მიიღო თავის წევრად.

⁂ ქუთაისი: ამ სამიოდე წლის წინად, სახელდობრ 1887-ს წლის 3 ს აგვისტოს, ქუთაისსა და რკინის გზის სადგურს რიონს შუა, რკინის გზის მატარებელში, მეორე კლასის ვაგონში, საოცარი, არა-ჩვეულებრივი ბოროტ-მოქმედება მოჰხდა. ამ ბოროტ-მოქმედების ამბავი იმ წამსვე მოეფინა არა მარტო ჩვენს მხარეს, გაზეთებშიაც ბევრსა სწერდნენ იმის შესახებ, და ამიტომ, დარწმუნებულნი ვართ, მკითხველი მიჰხვდება, რომ ჩვენ ვგულისხმობთ შავის ქვის მრეწველის შვეიცარიის ქვეშევრდომის, ლიმბერგერის მეუღლის, ქ-ნის ევგენიას გაძარცვას. მართლაც, ეს ამბავი იმდენად საოცარი იყო, რომ მისი დავიწყება ყოვლად წარმოუდგენელია: დღისით, მეორე კლასის ვაგონში, როცა მატარებელი ჩვეულებრივის სისწრაფით გარბოდა ქუთაისსა და რიონს შუა, რამდენისამე იმავე ვაგონში მყოფ კაცის თვალ-წინ, ავაზაკები თავს ეს-

ფელეტონი

ქართული ლექსწყობა

ჯერ რომ ისევ საქართველოში ვიყავ, რამდენჯერმე მქონია ქართულს ლექსწყობაზე ბაასი იმათთან, რომელნიც თვით სწერენ ლექსებსა და რომელთაგანნიც, ასე გასინჯეთ, ზოგნი ითვლებიან კიდეც ჩვენში პოეტებად.

თუმცა ესენი ყოველთვის სცდილობდნენ, არ ვიცით-კი რა მიზეზით, გამოეცვალათ საგანი ბაასისა, მაგრამ მე მაინცა და მაინც მივუბრუნდებოდი ხოლმე იმავე ლექსწყობაზე ლაპარაკს. იქნება ჩემი საქციელი დასაძრახისი ყოფილიყოს ამ შემთხვევაში, მაგრამ რას იზამთ, როდესაც სურვილი გაქვთ, ჭეშმარიტებას მიუახლოვდეთ იმათის დახმარებით, რომელნიც თვით აცხობენ თქვენს გამოსაკვლევს საგანს. საუბედუროდ, ჩემი წადილი ყოველს შემთხვევაში ამაოდ რჩებოდა, რადგანაც ვერც თვიანთის სიჩუმით, ვერც სალაპარაკო საგნის გადასხვაფერებით, ვერც თვით პასუხით ისინი მე ვერ მაკმაყოფილებდნენ. პირიქით ხანდახან ისე რიგად აჭიკჭიკდებოდნენ, რომ მათი ლაპარაკი უნებურად შებრალების ღიმილს მოჰგვრიდა კაცს.

აი ერთი ამ გვარ ლაპარაკთაგანი:

„რა გვარის წყობილებითა სწერთ, ბატონო, მომეტებულად თქვენს ლექსებს?“

— ჰხმ!... რვა მარცვლოვანს, ათ მარცვლოვანს, აგრეთვე თოთხმეტმარცვლოვანიცა მაქვს“.

„ერთი მიბრძანეთ, ქართულს ენას თქვენის ფიქრით რომელი ლექსწყობა უფრო შეჰფერის სილლაბური, მეტრული, თუ ტონური“

— ჰჰჰა!.. რუსთაველი სწერდა თექვსმეტ—მარცვლოვანს და მას შემდეგ იშვიათადღა ვინმე სწერს აგრეთს გრძელს ლექსს. თუმცა-კი შიგა და შიგ მოიპოვება იმ გვარი ლექსიცა,.. მე მივხვდი, რომ ამ კაცს აპოლონი აწერინებს ლექსებსა და სრულიად არა გაეგება რა ლექსწყობის კანონებისა; ამისათვის გავშვედი და ლაპარაკი შევაწყვეტინე.

„თქვენ რომ ბრძანებთ, ვითომც თოთხმეტის მარცვლითა სწერდეთ ლექსებს, განა ეგრეთი განმარტება ლექსთა გარევნობისა საკმარისია?“

მობაასე გაჩქანებული მიკითხავს ლექსს, მარცვლებსა სთვლის და გამარჯვებულის სახის მოძრაობით მეუბნება: „აკი მოგახსენეთ, ყოველს ტაეპში თოთხმეტი მარცვალია მეთქი; სხვა განა რაღა უნდა იყოს საჭირო?“

— მე ეხლავ მოგახსენებთ, ბატონო, რამდენსამე თოთხმეტ-მარცვლოვანს ლექსსა და თქვენ თითონვე მიბრძანეთ, ერთის წყობილებით იქნებიან ისინი დაწერილნი თუ არა:

დავით გურამიშვილის 14 მარცვლ. ლექსი.

გულმან მითხრა: ადეო! რაღათ მოიცადეო?
თუ არა იქ, ვით იქნას, რაც რომ დაიქადეო?..
ა—აა | —აა | აა—აა | —აა

გიორგი ერისთავისა, აგრეთვე 14 მარცვლ. ლექსი

ჰოჲ, მშვენიერო, რად მიჰფრინავ უცხოსა მხარეს,
უკვე მიტევებ შენსა მღერალს, ესრედ მწუხარეს...
აა—აა | ა—აა | აა—აა

აი კიდევ თოთხმეტ-მარცვლოვანი ხალხური ლექსი, ჩემგნით ბავშობაში გაგონილი ერთის მღაროძელ გლეხკაცის ქალისაგან. ამ ლექსს, თუ ნებას მიბოძებთ, ბოლომდის მოგახსენებთ“.

— „ბძანეთ, ბძანეთ; მე დიდი მოყვარული გახლავართ ხალხურის ლექსებისა“.

ასმეტაანთ ქალი ვიყავ, ახ, ნეტავი მეო!
უმარილი ბევრი ვისვი, ფვერი ვიშარბეო.
მაყრიონი მამივიდა, მძიმედ მოვიქეო;
ღურჯი ცხენი შემიკმაზეს, ვირზე გადავჯდეო.
დიდ ტყეში რომ შემიყვანეს, ჯოხი გავთალეო;
შარა გზაზე რომ გავედით, ცხენს ავუჩქარეო,
უკან მაყრებ მამძახიან: „ქალ, დაგვიცადეო!
მე იმათი ტრაკა-ტრუკი არად ჩავაგდეო.
სოფლის ბოლოს მივახლოვდი, სახლი ვიკითხეო.
სამჯერ სახლ-კარს შემოვუარე, ლიტრა გავტეხეო.
კარებში რომ შემიყვანეს,—„პური მშიან მეო!“
ათი კვერცხის ერბო-კვერცხი მარტო შევჭამეო.
ნახე ლიტრა ღვინო შევსვი—ის მაამა მეო.
მამამთილს წვერი ვაგლიჯე, პირში ვაყარეო,
დედამთილი კარსუკანა: „ღმერთო გადაკრეო!“
მღვდელს კარებზედ მივადექ—„ჯვარი დამწერეო!“
სამ დღის ჯვარდაწერილი ვარ,
ვაჟი ვშობე მეო,
აქაური არ გეგონოთ,
თან მოვიყოლეო. *)
ა—აა | ა—აა | ა—აა | —ა

ყოველი ტაეპი შეიცავს 14-ს მარცვალს, მაგრამ ვერავინ-კი ვერ იტყვის რომ იგი იმ წყობილებითვე იყოს დაწერილი, რა წყობილებითაც არის ზემოდ მოყვანილი ან დავით გურამიშვილისა და ან გიორგი ერისთავის ლექსი. სწორედ ამავე ხალხურის კილოთი არის დაწერილი რაფიელ ერისთავის ნანაც:

რა ვარსკვლავი რა ვარსკვლავზედ
ჩვენ დაგვებადაო,
დედამ ღვთისამ მოწყალებით
ჩვენ გადმოგვხედაო:
ვაჟი მოგვცა, მით გვიწვიმა
ციდამ მანანაო,
იავ ნანა, ვარდო-ნანა, იავ ნანინაო!

**

ამას შემდეგ ჩვენი პოეტი გაჩუმდა, ველარას ახერხებდა ეთქვა, ხოლო დი-

---

*) ამ ლექსის ვარიანტი ჩაწერილი აქვს პატივცემულს ვაჟა ფშაველას თავის ფშაურ ლექსთა კრებულში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმიან ქ-ნს ლიმბერგერისას, რომელსაც იმ დღესვე ათი ათას ცხრაასი მანათი გამოეტანა ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებიდგან და ზესთაფონს მიჰქონდა, ართმევენ ამ ფულს, ხტებიან მატარებლიდგან და გარბიან სალორიის ტყისაკენ. პოლიცია იმ დღესვე შეუდგა საქმის ძიებას, მდევრებიც გამოუყენა ავაზაკებს, მაგრამ ამაოდ: მთავრობამ კარგა ხანს ხელი ვერ ჩასჭიდა ავაზაკებსა და სანამ ამათს კვალს მიაგნებდა, საქმეს გამოიძიებდა და სამართალიც თავისს მსჯავრს დასდებდა, სამ წელიწადზე მეტმა დრომ გასტანა. 28 ამ თთვისას ოლქის სასამართლოს წინაშე წარსდგნენ, ვითარცა ბრალდებულნი, ოზურგეთის მაზრის მცხოვრებნი: გლეხი ანტონ თოიძე და აზნაურნი ნესტორ მგელაძე და ტარიელ და აგია დათუნაიშვილები. პირველს ამათგანს ჰბრალდებოდა თვით ავაზაკობის ჩადენა, ესე იგი, ქ-ნის ლიმბერგერის გაძარცვა ვაგონში ორის სხვა ავაზაკის შემწეობით, რომელთაგან ერთი, სახელდობრ, ილარიონ დათუნაიშვილი, უკვე გასამართლებული და გაგზავნილია, სადაც ჯერ არს, ხოლო მეორე მთავრობას ჯერ-ჯერობით ვერ შეუპყრია; მეორეს — ნ. მგელაძეს — ჰბრალდებოდა, რომ თუმცა [illegible] თვით ავაზაკობის ჩადენაში, ავაზაკებს ატყობინებდა ბოროტ-მოქმედების ჩასადენად საჭირო ამბებს, თვალ-ყურს ადევნებდა ქ-ნს ლიმბერგერისას, რომელსაც კვირაში რამდენჯერმე გამოჰქონდა ფული ბანკიდგან, და რომ გურიიდგან ორჯელ დეპეშით დაიბარა ავაზაკები; ორს დანარჩენს, ტარიელსა და აგია დათუნაიშვილებს, ჰბრალდებოდა, რომ თავიანთს სახლში თავ-შესაფარი მისცეს სახლი-კაცსა და ნათესავს ილარიონ დათუნაიშვილს, რომელიც ავაზაკობის ჩადენის შემდეგ მთავრობას ემალებოდა. საქმის გარჩევა გაგრძელდა ორს დღეს, 28-სა და 29-ს ამ თთვისას. ბრალსა სდებდა ბრალმდებელის ამხანაგი ბ-ნი ნეპოკოიჩიცკი; ვექილობდნენ თოიძის მხრით ბ-ნი ლოლუა და მგელაძის მხრით—ბ-ნი კვირკველია. პირველს დღეს სასამართლომ ძლივს-ძლივობით მოასწრო მოწმების გამოკითხვა და მეორე დღე ბრალმდებელისა და ვექილების სიტყვათა მოსმენას მოანდომა. თოიძემ და მგელაძემ თავი დამნაშავედ არ იცნეს. ნაშუადღევის მეხუთე საათი იქნებოდა, როცა სასამართლოს თავმჯდომარემ განაჩენი წაიკითხა, რომლითაც ანტონ თოიძეს, ოც-და-ათის წლისას, ვითარცა ჩამდენს ავაზაკობისას, კანონმა დაუნიშნა თერთმეტის წლით კატორგა, ნესტორ მგელაძეს, ორმოც-და-ათის წლისას, ვითარცა იმათს დამხმარეს ავაზაკობისას, რომელმაც საჭირო შემწეობა აღმოუჩინა ამათ ბოროტ-მოქმედების ჩასადენად, — თორმეტის წლით კატორგა და ტარიელ დათუნაიშვილის, ოც-და-ათის წლისას.—სამუდამო საცხოვრებლად გადასახლება ციმბირის უშორესს ადგილებში; აგია დათუნაშვილი-კი, ოთხმოცის წლისა, სამართალმა სრულიად გაამართლა ბრალდებისაგან.

*** იქიდამვე: 28 ს ამ თთვისას, სალამოს ჟამს, ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ლონდონის სასტუმროს ერთ-ერთს ნომერში რევოლვერით თავი მოიკლა ვიღაც ახლად ჩამოსულმა ყმაწვილმა ქალმაო. როგორც აღმოჩნდა, ეს ქალი ვაჭრის გაბუნიას ასული ყოფილა. ერთისა თუ ორის კვირის წინად დედ-მამას კიდეც დაუქორწინებია. საბრალოს რევოლვერი პირში დაუცია. ამ ამბავმა მით უფრო შეგვაზარა, რომ ეს მშვენიერი ახალგაზდა ქალი, როგორც ამბობენ, ძალად ქორწინებას უმსხვერპლია. 30 ამ თთვისას თავის მკვლელი სამეგრელოს გაასვენეს დიდ ძალის ხალხის თანდასწრებით.

*** ახალ-ქალაქი: 25 ამ თთვისას, შუადღეს შემდეგ, ორს საათზედ ფრიად შემაძრწუნებელი უბედურება მოხდა ჩვენს ქალაქში. აქაურს მემამულეს, აზნაურს მიხეილ მუსხელაშვილს შეუცვივდნენ ვიღაც ავაზაკები სახლში და ხანჯლებით სრულიად ლუკმა-ლუკმა აკეპეს. ორის საათის წინად, ვიდრე ეს საშინელი კაცისკვლა მოხდებოდა, საბრალო მიხეილი გულ-დამშვიდებული ბაზარში დადიოდა და რას მოიფიქრებდა, თუ ასეთი საზარელი ამბავი შეემთხვეოდა რამდენსამე საათს შემდეგ. სადილს უკან მოსამსახურე ბაზარში გაეგზავნა მიხეილსა და თითონ ტანთ გაეხადნა და აძინებლად. როგორც ილაპარაკა იმისმა მოახლე დედაკაცმა, ორი ვიღაც კაცი მისულიყო და ეკითხა: ბატონი შინ არისო? დედაკაცს ეპასუხნა შინ არის, მხოლოდ სძინავსო და დაბრუნებულიყო ქვემოდ სასახლეში, რომელიც ხუთ-ექვს საჟენზეა მოშორებული მიხეილის ოთახზე. ამ დროს შეცვივნულან ავაზაკნი და შეუსრულებიათ თავიანთი ბოროტი განზრახვა. ყველამ თუმცა ჩქარა გავიგეთ ეს ამბავი, მაგრამ რაღას ვუშველიდით. მკვლელები სადაღა მიიმალნენ; საბრალო მიხეილი კი ისე გაეხადნათ, რომ არც სახეზედ, არც ტანზედ და არც ხელ-ფეხზედ ხანჯალ დაუკვრელი ადგილი აღარ ეტყობოდა სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ოცამდე ჭრილობა ექნებოდა! ამბობენ, რომ ზოგს ეჭვი კიდეც მიუტანიათ მკვლელებზე და, შესაძლოა, მალე გათოკონ ის თავზედ ხელ-აღებულნი ულმერთონიო.

*** ფოთი: აქაურმა ფერშალმა, ბ-ნმა სულაქველიძემ შეადგინა ქართულს ენაზედ ორი ოჯახში საკითხავ სახმარებელი სამკურნალო წიგნი: ხსენებულის წიგნების დაბეჭვდის ნებართვაც უკვე მიიღო, ვისგანაც ჯერ იყო. მაგრამ დაბეჭდვა-კი ძალიან უჭირს, რადგან ცოტა ფული არ მოუნდება ამ საქმეს. თუ გამოჩნდება ვინმე და იტვირთებს დაბეჭდვას, ავტორი სულ იაფ ფასად დაუთმობს თავის ნაშრომს.

*** 30 სექტემბერს, სურფ-ნიშანის ქუჩაზე, ივან იაგორის ძის საწყობიდგან, მოიპარეს ტილოს პერანგი, სულ 77 მან. და 60 კ.

*** ამ თთვის 1, დილის 8 საათზე, კალონიის ვიწრო ქუჩაზე, ისარლოვის ცილიერს ადგილზე, პოლიციელმა იპოვნა ნახევრად გახრწნილი გვამი ახალ დაბადებულის ყმაწვილისა. ყმაწვილი, როგორც ეტყობოდა ჯერ მიწაში დაემარხათ და მერე ისევ ამოეთხარათ. ძალად მოკლულობა არა ეტყობოდა. მიცვალებულის გვამი სანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს, 11 საათზე, კარაისტ-კარაისტოვის სახლის შენების დროს მიწა მოირღვა და ქვეშ მოიყოლია მუშა ყაზარმანუკ-ოღლი, მაგრამ მალე ისევ ამოათრიეს. მუშას სასიკვდილოდ არა სჭირს-რა.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გურია, 24 სექტემბერი. ახალი ამბავი არ არის „ივერიის" მკითხველებისათვის, რომ ჩვენში ზოგიერთის ბრალად ედება ყაჩაღის დარჩიას მფარველობის გაწევა. ბ-ნმა მაზრის გამგებელმა მიიხმო ამ სამარცხვინო საქმეში შეწამებულნი (იმათი რიცხვი ასს აღემატება, ლეჩაქოსნებიც ურევიან) და აუხსნა, თუ რამდენად მავნებელი და დამღუპველია ასეთი საქციელი; ამასთანავე ხელ-წერილი ჩამოართვა ყველას, რომ ეცდებიან ყაჩაღის დაჭერას, ან მოკვლას ან პოლიციის მართალს გზაზედ დაყენებას ყაჩაღის შესაპყრობლად. ვადად არის დანიშნული რამდენიმე თთვე თუ ამ ვადაზედ არ გამოჩნდა თქვენი მეცადინეობაო, დაემუქრა მაზრის მმართველი, მთავრობა იძულებული იქნება სასტიკი ღონის ძიება იხმაროსო.

ასეთი განკარგულება, რა თქმა უნდა, შეაშინებდა და დააფიქრებდა ხელ-წერილს ქვეშ მყოფთ. ნათქვამია „ჯერ თავო და თავოო". თუ რომელიმე შეწამებულთაგანი წინად ყაჩაღს გულ-გახსნილად მიეგებებოდა, თეთრს კბილს უჩვენებდა, მეგობრულს სალამს მისცემდა და ხელს მოუმართავდა, ახლა იძულებულია ავდედინაცვალზე მეტი გაუტანლობა გამოიჩინოს; თუ შეხვდება, მრისხანედ უნდა შეჰბღვიროს და როგორც მოსისხლე მტერი, ისე უნდა სდევნოს. კარგა ხანია ჩვენში ქურდობა-ავაზაკობა და ძარცვა-გლეჯა არ მომხდარა. მშვიდობიანობა ჰსუფევს. ავ-კაცობის მეთაური დარჩია, როგორც ღაღადებენ „საქმენი მისნი ბოროტნი", იმერეთში უნდა ნავარდობდეს და თარეშობდეს. გურულები ააშფოთა და აალაპარაკა ერთმა მოულოდნელმა ამბავმა. რა მოხდა ისეთიო, იკითხავთ. ბოდიშს ვიხდი, რომ ცოტა შორიდგან უნდა მოგიყვეთ.

ამ ერთის წლის წინად ხსენებული დარჩია და ილარიონ დათუნაიშვილი (პირველზედ უფრო გულ-ქვაობითა და ავ-კაცობით განთქმული) ძალიან შეთვისებული ამხანაგები იყვნენ; ერთად იყოფდნენ ჭირსა და ლხინს, შიშის ზარს სცემდნენ ყველას, სქესისა, წოდებისა და ქონების გაურჩევლად. მკითხველებს ეხსომებათ, რომ შარშან ენკენისთვის დამდეგში, როცა ისინი ერთს სახლში იყვნენ, პოლიცია თავს დაესხა, დარჩიამ უშველა თავს, გაიქცა და დღესაც გარბის, დათუნაიშვილს უმუხთლა ბედმა, ხელთ იგდეს. წელს ივლისში სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. მთავარ მართებელმა შეიბრალა, სიკვდილით სასჯელს ასცილა და სამაგიეროდ სამუდამოდ, უვადოდ კატორგაში ყოფნა მიუსაჯა. ამას შემდეგ დათუნაიშვილზე ლაპარაკი გათავებული ეგონა ყველას. ეხლა ელვის სისწრაფით შემოირბინა ამ ამბავმა, რომ როცა მიამგზავრებდნენ რკინის გზით ყაჩაღებს ციმბირისაკენ ხელ ფეხ შებორკილებულებს, რამდენიმე გაიქცა და დათუნაიშვილიც იმ გაქცეულებშიაო. ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ხმა. ვიცით მხოლოდ, ის, რომ ბევრს ლაპარაკობენ ამ საგანზედ, ეშინიანთ, ვაი თუ ისევ მოგვიკითხოსო: იგონებენ იმ არა სანატრელს დროს, როცა დარჩია და დათუნაიშვილი ხელი-ხელს ჩაკიდებულნი არბევდნენ ხალხს. ამბობენ, თუ მობრუნდა, წინანდელზედ უფრო გამხეცებულ-გაბრაზებული მოგვიბრუნდება, მისთვის კაცის მოკვლა და ბუ-

---

დის გულ-მოდგინებით ძიგდებდა ყურს. მე ვუჩვენე, რომ აგრეთვე 8, 16 და სხვა მარცვლოვანს ლექსებშიაც შეიძლება სხვა-და-სხვა გვარი წყობილება იყოს.

მაგალითად, რაფიელ ერისთავის 8 მარცვლოვანს ლექსში „სამშობლო ხევსურისა" აი რა წყობილება გახლავთ:

სადაც გშობილვარ, გაზრდილვარ
და მისრულია ისარი,
სად მამა პაპა მეგულვის,
იმათი კუბოს ფიცარი.
სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ,
ჩემი სამშობლო ის არი.
აა—აა | —აა
აა—აა | —აა

შემდეგ ავილოთ აგრეთვე რვა მარცვლოვანი ლექსი ალ. ჭავჭავაძის ა.

მუზნო, ვლიდით, ისწრაფვიდით,
მოფრინვიდით ულის კიდით!
ჩანგს მართვიდით, ლექსსა სთხზვიდით
ებნს დაჰკვრიდით, მღერას რთვიდით...
ა—აა | ა—აა
ა—აა | ა—აა

თვით ჩვენნი მთავარ-მეშაირენი— რუსთაველი და ჩახრუხაძე ზოგან სხვა-და-სხვა წყობილებითა სწერენ, თუმცა რიოდენობა მარცვალთა ერთი და იგივე აქვთ ხოლმე ხშირად. შოთა:

ეჰ სოფელო! რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა (16)
სადაურსა სად წაიყვან,
სად მოუთხრი სადით მირსა.
ა—აა | ა—აა | ა—აა | ა—აა
ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზდილობა; (16)
თუ კაცი თავად არ კარგა, ცუდია გვარიშვილობა.
აა—აა | —აა | აა—აა | —აა

ჩახრუხაძე:

მო ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო,
თამარს ვაქებდეთ გულის-კმიერსა.
დიონოსისგან, ვით ენოსისგან, სრულნი ქებანი ამმღეთ მღიერსა.
აა—აა | აა—აა | აა—აა | აა—აა
თამარ წყნარი, შესაწყნარი; ქმა ნარნარი, პირმქინარი,
მზე მცინარი, საჩინარი, წყნარი-მქნარი, მომდინარი.
ა—აა | ა—აა | ა—აა | ა—აა
შენ მწყობიხარ მნათობთა, არ ისასმენლებ არიდენ
შენ შუქნი ელვა ეთერთა. მზისა მწვერწვალთა არიდენ,
აა—აა | —აა | აა—აა | —აა

ჩვენს ახალს პოეტებსაც აქვთ ისეთი ნაწარმოები, სადაც ლექსი სხვა-და-სხვა რიგად იკითხება, თუმცა მარცვალთა რაოდენობა ერთი და იგივეა ხოლმე. მაგალითად აკაკის პოემა თორნიკე ერისთავი სამის წყობილებით არის დაწერილი:

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზედ ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველთა გმირთა მხარ-მკლავები?
ა—აა | ა—აა

გამართულია დარბაზი,
ერიც სამსჯავროდ შეყრილი..
წინ სდგას თორნიკე პირ ნათლად,
წარბიც არა აქვს შეხრილი.
აა—აა | —აა

მესამე წყობილების ტაეპი ათ მარცვლოვანია:

ვით ეთერი მზეთ უნახავი,
საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს,
სახელს ვარდის ფრად იღებავს გრძნობით
და იელვარებს სურვილით თვალებს,
ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი
ლაჟვარდს ცაზედა კაშკაშით თრთოდა.
აა—აა | აა—აა.

აქ იმასაც მოგახსენებთ, რომ არა თუ მთელს პოემაში, ყოველის წყობილის ტაეპებიც შეიძლება პერიოდულად იცვლებოდეს მარცვალთა რაოდენობითა და ამ შემთხვევაშიაც ფუჭი მარცვლების თვლა მაგრე რიგად დიდს საჭიროებას არ წარმოგვიდგენს.

მაგალითად ავიღოთ დავით გურამიშვილის ლექსი „ზაფხული."

ზამთარს წაუხდა აწ ჭირნახული;
ზურმუხტის ტახტზე დაჯდა ზაფხული.
შემოკრბნენ ყოვლნი
მუნ სულნი ცხოველნი
და მიულოცეს.
აა—აა | აა—აა
აა—აა | აა—აა
—აა | —აა
—აა | —აა
აა—აა

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „თავადის ჭავჭავაძის ასულს."

ხმით მშვენიერით
ტკბილის სიმღერით,
ჰქეროვანო, სულს ელხინები;
აა—აა
აა—აა
აა—აა | აა—აა

**

ნათლად დავანახვე თუ არა ჩემს მობაასეს, რა უაზრობას წარმოადგენს ცალიერი მარცვლების თვლა, მე შევუდექი იმის განხილვას, თუ რით განსხვავდება მარცვალთა რაოდენობით ერთნაირი ლექსები და რას უნდა მიექცეს უმრავლესი ყურადღება, როდესაც გვინდა, შევიტყოთ წყობილება ლექსისა.

**

ლექსის ყოველ ტაეპის წაკითხვის დროს ხმოვანნი ერთრიგად როდი მოისმიან: ზოგი მათგანი ისმის ხმის ამაღლებით, ზოგი-კი ხმის დამდაბლებით. ამავე მოვლენას შენიშნავთ აგრეთვე ყოველისავე სიტყვის გამოთქმის დროსაც. ხმის ამაღლება ხმოვანისა სიტყვაში გადაეცემა იმ თანხმოვან ბგერასაც, რომელიც სხვა-და-სხვა ვარიაცებით მიმდევს ხმოვანსა და ამ გვარად ხმის ამაღლებით გამოითქმის სიტყვის რომელიმე მთელი მარცვალი და არა მარტო ხმოვანი. ამისათვის ვამბობთ ხოლმე, რომ მახვილი სიტყვის ამა-და-ამ მარცვალზეა და არა ამა-და-ამ ხმოვანზე, თუმცა ხმოვანი არის მიზეზი, რა საკვირველია, მახვილის არსებობისა სიტყვაში. სიტყვა შეიძლება ხუთი და მეტხმოვანიანიც იყვეს, მაგრამ მახვილი ერთს მარცვალზედ მოისმოდეს. ლექსის ტაეპიც, რამდენ სიტყვიანიც უნდა იყვეს, თუ სიტყვებზედ ნაკლები მახვილია, ისე უნდა გაიშინჯოს, თითქოს იგი შესდგებოდეს იმდენ სიტყვისაგან, რამდენიც მახვილია.

განსაკუთრებითი თვისება ტონურ ლექს-წყობისა იმაში მდგომარეობს, რომ პროზულს ხმის ამაღლებას ეიგივეობა მეტრული ხმის ამაღლება, ე. ი. რა კანონითაც დაისმის გამოთქმის დროს სიტყვაში მახვილი, იმავე კანონით ისმის ხმის ამაღლება ყოველს პროსოდიულს პერიოდში, თუ სტოპს ისე გავარჩევთ, როგორც სიტყვას, რომელიც შესდგება იმდენ მარცვლისაგან, რამდენიც სტოპის ყველა სიტყვაში მარცვლებია.

მაგალითად პირველს პროსოდიულს პერიოდში.—

ზის ერთი იქნება და „ამოგვიღებს წელშიო“.

ნამუშავარი ასადებად შემოსულია. კაი ხანია შენახვის თადარიგს უნდა შესდგომოდნენ და გამუდმებით ემუშავნათ, მაგრამ გულ-გრილობით აღჭურვილი ბუნება არა თუ ყურს არ უგდებსა და არ თანაუგრძნობს ხალხის საჭიროებასა და სახივარ-საყურეურს, პირ-იქით, თითქოს ჯიბრზე შესდგაო, დიდად უშლის ხელს. წარსული თთვე ისე გავიდა, რომ სამეოთხედოდ არ გამორეულა ხეირიანი დარები. ჭაური ერთობ გაჭინჭყლიანებულია. მტირალმა ღრუბლებმა, წვიმებმა, სიცივეებმა შეჰკრეს პირობა, გაბატონდნენ და დაინარჩუნეს ბურთი და მოედანი გლეხები ძალა-უნებურად სხედან სახლში ფეხ მოკეცილები, გულ-ხელ დაკრეფილნი და შეჰყურებენ ცას, როდის მოიწმინდება და როდის გვეღირსება სამუდამო გასვლა საზამთრო სარჩოს სახლში შემოსატანადო.

თეოფანე კალანდარიშვილი.

◆◆

რუსეთი

რუსეთის საიმპერატორო სატეხნიკო საზოგადოება აპირობს, შეადგინოს ცალკე კომისია და მიანდოს განსახილველად ქარხნების მცირე-წლოვან მუშების საქმე. ამ წლის 24 თებერვალს უკვე გამოიცა წესდება, ქარხნების მცირე-წლოვანის მუშებისა, მაგრამ კანონი კანონად არის და აქამდის-კი მუშებს არაფერი შეღავათი არ მისცემიათ რა. ამის მიზეზი ის არის, რომ ქარხნების ზედამხედველებს ბევრი ქარხანა აქვს ჩაბარებული და ვერ ასწრობს, რომ ყველგან მივიდეს და რიგიანად აღევნოს თვალ-ყური საქმეს. უკვე გამოცემული წესდება მთავრობამ კარგ და შესაფერ წესდებად იცნა და ეხლა თუ კომისია სდგება, მხოლოდ იმ აზრით სდგება, რომ ამ კანონის განსახორციელებლად ღონის-ძიება რამ იხმაროს.

— ამ ჟამად უკვე შემუშავებულია და მომავალს სესსიაზე სახელმწიფო საბჭოც განიხილავს იმ ცვლილებათა პროექტს, რომელიც ციმბირის სასამართლოებში უნდა მოხდეს. პროექტის აზრით, ტობოლისა, ტომსკისა და ენისეისკის გუბერნიის ყოველს ქალაქსა და დიდს სოფელში უნდა დანიშნონ მომრიგებელი მოსამართლეები თავიანთის თანაშემწეებით. გამომძიებლების რიცხვიც უფრო მომეტებული იქნება, რადგან გამოსაძიებელი საქმეები პოლიციას აღარ უნდა მიენდოს ხოლმე. ყოველს ქალაქში იქნება ბრალმდებელის თანაშემწე. მომრიგებელ სასამართლოებიდგან საჩივრის გადასატანად დაწესდება საგუბერნიო სასამართლოები. ჯამაგირად მომრიგებელს მოსამართლეებს, სამაზრო ქალაქებში ექნებათ წელიწადში 2,000 მან., საგუბერნიო ქალაქებში 3,200 და ამათ თანაშემწეებს 2,500. გამომძიებლებს დაენიშნებათ 2,000 მან., ხოლო მოთავთბირეებს საგუბერნიო სასამართლოებისას 2,200 მან., ოლქის სასამართლოები გაუქმდებიან. ცვლილება მოხდება აგრეთვე ციმბირის ზოგიერთს სხვა დაწესებულებაშიაც.

— სამხრეთ რუსეთის მემამულემ პ. ნ. ხუხოტინმა ახალი ამწყობი მანქანა მოიგონა და ამ მოკლე ხანში პეტერბურგში წაიღებს საჩვენებლად. მანქანა საკმაოდ ურთულია და ასოების აწყობას შემდეგ კიდეცა ჰბეჭდავს, რამდენი ცალიც საჭირო იქნება.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო აპირობს, მომავალს წელს 40,000 მან. გადასდოს უკეთესის ჯიშის საქონლის მოშენებისთვის, ამდენივე ყველისა და ერბოს კეთებისთვის, 9,000 მანათი უკეთესის თესლეულობისა და იარაღების შესაძენად და 5000 მანათიც თევზის ჭერის საქმისთვის. სამინისტრო ამას იმ აზრით აპირობს, რომ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესობას რაიმე დახმარება აღმოუჩინოს.

— გზათა სამინისტრომ კვლავ ნება დართო, რომ ვაგონებში ხანათალ ნავთი იხმარონ ხოლმე, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ყოველთვის სამინისტროს შეატყობინონ ხოლმე, რა ნაირი ლამპრები ექნებათ, რა ზომისა და რა ნაირად უნდა აღევნონ თვალყური ნავთისა ჩასხმას და ანთებას.

— ამ მოკლე ხანში საგეოგრაფიო საზოგადოებამ უნდა მოახდინოს მასწავლებელთა კრება, რომელზედაც განხილული იქნება ის საგანი, თუ რა რიგით და წესით უნდა ასწავლონ ხოლმე გეოგრაფია სხვა-და-სხვა სასწავლებელში.

— პეტერბურგის გუბერნიის ერობათა მომავალს კრებებზე პირველად იქნება განხილული ის საგანი, რომ შემწეობა მიეცეს ხოლმე სამსახურის დროს ავად გამხდარს მასწავლებელს.

— პეტერბურგის აფთიაქებში სულ 79 თანაშემწეა მეაფთიაქებისა. ამათგან 31 ებრაელია.

◆◆

წვრილი ამბები

— ზნეობა ძველ ინდოელთა და ბერძენთა მკურნალებისა. ამ სათაურით დაჰბეჭდა ერთი წიგნაკი ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორმა შჩეპოტიევმა. ძველს საბერძნეთსა და ინდოეთში მკურნალები უმაღლესს ზნეობას უქადაგებდნენ თავიანთ მოწაფეებს. სამაგალითოდ ძველი ინდოელი მკურნალი აი როგორ არის აწერილი ინდოეთის უძველესს წიგნებში: მკურნალი გარეგნობით უნდა იყოს ახოვანი, მიმზიდველის სახისა, მოსიყვარულე გულისა და ტკბილი ხმა უნდა ჰქონდეს. ამასთანავე უნდა იყოს ფხიზელი, ჭკვიანი კაცი, წყნარი, მომთმენი, მართალი, ზრდილობიანი, ალერსიანი, გულ-შემატკივარი, დარბაისელი, მეტად ზომიერი, უბიწო, ღვთის მოყვარული და კეთილი. მკურნალმა უსასყიდლოდ უნდა უწამლოს დავრდომილებსა, უცხოელებსა, ღარიბებსა და იმათი გულის პასუხი საიდუმლოდ უნდა ჰქონდეს შენახული. ცუდი მხოლოდ ის იყო მკურნალებისა, რომ იმათ ხელი არ უნდა დაედოთ და არ უნდა ეწამლათ იმათთვის, ვინც ნადირობდა ნადირსა და ფრინველზე და ან კიდევ დამნაშავე იყო რაშიმე. ამასთანავე მკურნალებს მხოლოდ იმ ავადმყოფებისთვის უნდა ეწამლათ, რომელნიც ერთის წლის განმავლობაში მორჩებოდნენ. თუ წლის განმავლობაში ავადმყოფი არ მორჩებოდა, მკურნალებს თავი უნდა დაენებებინათ. თუ რომელიმე კაცი ან მეფესა და ან ხალხს ეჯავრებოდა და ან კიდევ ძლიერ მხინჯი იყო, იმისი წამლობა მკურნალებს აღკრძალული ჰქონდათ კანონის ძალით. საბერძნეთში გიპოკრატამდის მკურნალები ძლიერ კარგად იქცეოდნენ. ყოველთვის უსასყიდლოდ აძლევდნენ შემწეობას დავრდომილებსა და ცდილობდნენ, რომ ზომიერის ცხოვრებითა და კეთილის საქმეებით საზოგადოების გული მოეგოთ. ამათი ღირსებაც თითქმის ის იყო, რაც ინდოელ მკურნალებისა. უპირველესად იმის მოვალენი იყვნენ, რომ უსასყიდლოდ ეწამლათ, თუნდაც სასყიდელი გამოერთმიათ, წინადვე გარიგება ფასისა აღკრძალული ჰქონდათ, რომ ავადმყოფი არ შეწუხდეს.

— ამას წინად ლონდონში 400 ფრანკად გაიყიდა წერილი დედოფალ ვიქტორიასი, რომელიც თავის შვილის შვილთან, პრინც ალბერტ ვიქტორთან მიუწერა. ალბერტ ვიქტორს თავის პატარაობაში ერთხელ ჯიბის ფული გამოჰლეოდა და დიდდედისთვის მიეწერა წერილი, ფული გამომიგზავნეო. ყაირათიანს დედოფალს ვიქტორიას ფულის გაგზავნის მაგიერ, წერილი მიეწერა დარიგებისა, ფულის ფლანგვა არ კარგაო. პრინცს თუმცა ფული არ მიეღო, მაგრამ წერილი-კი მაინც გამოეყენებინა. დედოფლის ხელით დაწერილ წერილის მუშტარი მალე ეშოვნა და 30 შილინგად მიეყიდნა. აი სწორედ ეს წერილი ეხლახან 30 შილინგის მაგიერ 400 ფრანკად გაყიდულა.

— ევროპის სახელმწიფოებში ყველაზე მეტი დუელი იტალიაში მოხდება ხოლმე. 1876 წლიდგან 1889 წლამდე იტალიაში სულ 2759 დუელი მომხდარა, იმ შემთხვევებს გარდა, როცა დუელი დაფარულად ყოფილა და მთავრობას ვერ შეუტყვია. 90% ამ დუელებისა ხმლებით ყოფილა, 6% დამბაჩებით, 3% ხიშტებით და 1% რევოლვერებით. მიზეზი დუელებისა სხვა-და-სხვა ყოფილა: 36% პოლიტიკურ კამათობას გამოუწვევია, 8% შეურაცხებას. ათი დუელი მომხდარა სარწმუნოებრივის კამათობის გამო, 18 ჩხუბის გამო თამაშობის დროს. ზაფხულში დუელი ერთი ხუთად მეტია ხოლმე, ვიდრე ზამთარში. დუელში გასულს 100 კაცში 30 სამხედრო წოდებისა ყოფილა, 29 ჟურნალისტი, 12 ვექილი, 4 სტუდენტი, 3 მასწავლებელი, 3 ინჟინერი და 3 დეპუტატი.

◆◆

დეპეშა

29 სექტემბერი

პეტერბურგი. „Гражд.“-ი ამბობს, რომ სახელმწიფო საბჭოს წარედგინება პროექტი სასამართლოების შეცვლისა ციმბირსა და შუა აზიის სამფლობელოებში.

„Нов. вр.“-ია იუწყება, რომ რადგან მალე იქნება არჩევანი იერუსალიმის პატრიარქისა, ჩვენი მთავრობა სცდილობს, არჩევანი რიგიანად მოხდეს და ისეთი პატრიარქი იქმნას არჩეული, რომელიც მართლ-მადიდებლობისათვის ჰზრუნავდეს წმინდა ქვეყანაში და არა ისეთი, რომ საბერძნეთის ეპიტროპების მონა და მორჩილი იყოს.

პარიჟი. საპიროტექნიკო სკოლაში, რომელიც ბურჟეშია, გასკდა ყუმბარა, როცა მელინიტით ავსებდნენ. ყუმბარამ შენობა სკოლისა სულ გაანადგურა. 40 კაცი დაიჭრა და 5 მოკლულ იქმნა.

ნანსი. ხუთის თთვით ციხე გადაუწყვიტეს და 5,000 ფრანკი ჯარიმა დაადეს სამსახურს გარეშე მყოფს ფრანგს აფიცერს ბონეს ჯაშუშობისათვის.

ლონდონი. ინგლის-იტალიის მო-

სად მამა პაპა | მეგულვის

სამი სიტყვაა (სად, მამა, პაპა), მაგრამ მახვილი იმ კანონითვე ისმის, რა კანონითაც ერთს ხუთმარც. სიტყვაში (რადრაბაგანი, წარკვეთილება, არარაობა და სხვ), ე. ი. იმ კანონით, რომელიც გვეუბნება შემდეგს: თუ სიტყვა შესდგება სამისა და მეტის მარცვლისაგან, მახვილი ყოველს შემთხვევაში ბოლოდამ მესამე მარცვალზე ისმის. ნაწილი ტაეპისა, რომელშიაც ერთს მარცვალზე მოისმის ხმის ამაღლება, შეადგენს პროსოდიულს პერიოდს, ანუ სტოპსა (pes). მაგალითნი:

(აა—აა) ა) ჩვენო არაგვო! |
რა რიგ მიყვარხარ!
ჩვენ ძველ ცხოვრების |
მოწამე შენ ხარ!
(აა—აა) ბ) ჩვეულის სევდით |
აღმევსო გული, | მან დამალონა
შეურნებელი | გამხსნა წყლული|და მომგონა;
(ა—აა) გ) ყური მიგდეთ |
ბატყვით ამბავს | უტყუარსა | და მართალსა:
ერთი მეფე | თურმე ჰყვანდათ | უწინ ჩვენს მა | მა—პაპასა.

პირველის ლექსის ტაეპში ორი პროსოდიული პერიოდია, მეორისაში სამი, მესამისაში ოთხი. მიზეზი ამისა, როგორც ზემოდა ვსთქვით, იმაში მდგომარეობს, რომ პირველს ტაეპში ორი მახვილია, მეორეში სამი და მესამეში ოთხი.

პროსოდიული პერიოდი, ანუ სტოპი მრავალგვარია ძველს ბერძენ-ლათინთა მეტრიკაში. ორ-მარცვლოვანი:

ჲამბი, ხორეი (იგივე ტროხეი), სპონდეი, პირრიხი;
ა— | —ა — — | აა

სამ მარცვლოვანი·

მოლოსი, ტრიბრახი, დაკტილი, ანაპესტი, ამფიბრახი, ანტიბახი (პალიმბახი)
— — — | ააა | —აა | აა— | ა—ა | — —ა |

ოთხ მარცვლოვანი:

დისპონდეი, პროცელევსმატიკი, ანტისპასტი, ხორიამბი, დიტროხეი (დიხორეი).
— — — — | აააა | ა— —ა | —აა— | —ა—ა |

დიჲამბი, იონიკი a maiore, იონიკი a minore, ეპიტრიტი პირველი,
ა— ა— | — —აა | აა— — | ა— — — |

ეპიტრიტი მეორე, ეპიტრიტი მესამე, ეპიტრიტი მეოთხე, პეონი პირველი,
—ა— — | — —ა— | — — —ა | —ააა

პეონი მეორე, პეონი მესამე, პეონი მეოთხე.
ა—აა | აა—ა | ააა— |

აგრეთვე შეიძლება შეერთებულნიც იყვნენ, როგორც მაგალითად პირრიხ დაკტილი,
აა — აა და სხვა..

ყოველს ენას, რა ენაც უნდა იყოს, შეჰფერის ან მეტრული ლექსწყობა (როგორც ბერძნულსა და ლათინურს), ან სილლაბური (ფრანგულსა და პოლონიურს) და ან ტონური (რუსულს, გერმანულს, ქართულს). სხვა გვარი ლექსწყობა არ არსებობს. რადგანაც ჩვენს ენას შეჰფერის ტონური ლექსწყობა, ამისათვის ჩვენ აქ მარტო მას შევეხებით.

ზემოდ ჩამოთვლილ პერიოდთა შორის რუსულს ენას შეჰფერის ხორეი, ჲამბი, დაკტილი, ამფიბრახი და ანაპესტი, ჩვენს ენას-კი ხორეი, დაკტილი, პირრიხ-დაკტილი და პეონი მეორე. ამას, რასაკვირველია, მიზეზი აქვს და ამ მიზეზზე ჩვენ ქვემოდ მოვილაპარაკებთ. ეხლა-კი შევეხებით პროსოდიულ პერიოდების განსხვავებას ბერძენ-რომაელთა და ქართველთა ენების ლექს-წყობაში. კლასსიკურს ენებში ხმოვნები არიან ხან-მოკლენი და ხანგრძლივნი ან ბუნებითადვე natura), ან უხმო ბგერებთან შეწყობით positione). ჩვენს ენაში-კი როგორც აგრეთვე რუსულსა და გერმანულში ხმოვნებს არავითარი გარჩევა არა აქვთ. ყველგანა და ყოველს შემთხვევაში ერთნაირად იკითხებიან.

მახვილიან მარცვლის ხმის ამაღლება როგორც სიტყვაში, აგრეთვე ლექსში სხვა-და-სხვა ნაირია ჩვენსა და კლასსიკურს ენებში. ბერძნულ-ლათინურში ხმის ამაღლება მდგომარეობს ხმოვნის მკაფიოდ გამოთქმაში, ჩვენსა და რუსულ გერმანულში-კი ძალდატანებითი ფილტვებიდამ ჰაერის ამოქშინვაში. ანუ მოკლედ რომ ვსთქვათ ჩვენი ხმის ამაღლება ექსპირატორულია, ბერძენ-რომაელებისა-კი ხრომატიული. აქ დამკვირვებელი უეჭველია იკითხავს: „თუ-კი ამისთანა თვალ საჩინო გარჩევა ჰქონია ჩვენსა და კლასსიკურს ენათა ხმოვნებს, მაშ პროსოდიულს პერიოდებსაც უნდა ჰქონდეთ გარჩევა და ჩვენ სხვა რიგი სახელ-წოდება და ნიშანი უნდა მივცეთ“. დიაღაც საფუძვლიანი იქნება ამ გვარი კითხვა და აი რატომ, მაგალითად ბერძნული ხორეიოს, იგივე ტროხაიოს, შესდგება სამის, ხრონოს—პროტოსისაგან, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხრონოს—პროტოს იქნება ყველაზე მოკლე საზომი ბერძულის აგოგესი კითხვის დროს (იგივე ტემპი მუსიკაში). ორი პირველი ხრონოს პროტოს-ი შეერთდება ხანგრძლივ მარცვლად და ამ გვარად სტოპი მიიღებს შემდეგ სახეს-ა. ასევე გაირჩევა, რასაკვირველია, დანარჩენი სტოპებიც ბერძენ-რომაელების მეტრიკაში, ხოლო ჩვენს ხორეიზე და სხვა პროსოდიულს პერიოდებზე ამავეს ვერ ვიტყვით. ამათში მარცვლების სიხანგრძლივეს არა აქვს ისეთი გარჩევა, როგორიც ზემოდა ვნახეთ ბერძნულში. ჩვენს ხორეიში შეგვეძლიან ერთ რიგად გავაგრძელოთ პირველიცა და მეორე მარცვალიც.

ეო, მეო, კარი გამიღეო.
—ა | —ა | ა— აა | —ა

უფრო სწორე იქნებოდა, რომ ჩვენ იმ სტოპებს, რომელიც შეჰფერის ჩვენს ლექსწყობას, ვუწოდოთ ხორეისებური, დაკტილისებური, პირრიხ-დაკტილისებური და მეორე პეონისებური. ამითი თავდაპირველადვე გავაგებინეთ ჩვენს მოსწავლეებს, რომ დიდი განსხვავებაა ჩვენსა და ბერძენ-რომაელების სტოპთა შორის. ამასთანავე ჩვენ ერთნაირი ნიშანი უნდა მივიღოთ ამას შემდეგ ყველა მარცვალისათვის ,ხაზი იქნება ის ნიშანი, რგოლი, თუ ნახევარ რგოლი (—,0,ა)

ეო, მეო, კირი გამიღეო.
— — | — — | — — — — | — —
0 0 | 00 | 0 0 0 0 | 00
ა ა | აა | ა ა ა ა | აა

რუსის პროსოდისტები ლომანოსოვს აქეთ თავიანთ პროსოდიულს პერიოდებს ერთნაირად უხმობენ და ნიშნავენ, როგორც ბერძნულ-ლათინურში, თუმცა მათ შორის დიდი საზღვარი ჰძევს.

(დასასრული იქნება)

ლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა. იტალია არ დაეთანხმა ინგლისა და არ დაუთმო. მომეტებული ნაწილი სუდანისა უკასალოდ, როგორც ინგლისი თხოულობდა.

ბერლინი. იმპერიის ბანკმა ასწია დისკონტი $1^{1}/_{2}\%$-მდე.

30 სექტემბერი

პეტერბურგი. „Нов. Вр.“-ას გაუგონია, რომ ხვნა-თესვის სამინისტროს დასაწესებლად, აპირობენ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოაკლონ დეპარტამენტი ხვნა-თესვისა და მეურნეობისა. ახალ სამინისტროშივე უნდა მოჰყვეს ყველა ის დაწესებულებანი, რომელნიც განაგებდნენ სხვა-და-სხვა საქმეებს სასოფლო მრეწველობისას. ამავე ახალს სამინისტროს გადაეცემა ის საქმეები პურების გადატანისა და გაყიდვისა საზღვარ-გარედ, რომელიც ებარა ფინანსთა სამინისტროს. სულ დეპარტამენტების რიცხვი ახალ სამინისტროში ხუთზე მეტი არ იქმნება. სახელმწიფო საბჭო ამ მომავალს სესიაში დაიწყებს ამ საქმის განხილვას.

1 ოქტომბერი

პეტერბურგი. წევრს სახელმწიფო საბჭოსას ბარონ ნიკოლაის ებოძა დღეს 50 წლის სამსახურის იუბილეის გამო ალმასის ნიშნები წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ორდენისა უმაღლესის რესკრიპტით.

გუშინ დაბრუნდნენ პეტერბურგს შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრები.

„Нов. Вр.“-ა იუწყება, რომ შინა-მრეწველნი ნოვგოროდის გუბერნიისანი ჰმართავენ პეტერბურგში მაღაზიას თავიანთ ნაკეთებისა და ნარეწის საყიდლადაო:

იგივე გაზეთი ამბობს, რომ დამტკიცდა წესდება მკურნალთა საზოგადოებისა ურთიერთის დახმარებისათვისაო. დამფუძნებელს უნდა შეჰქონდეს ხუთ-ხუთი მანათი, ხოლო წევრს—სამ-სამიო. საზოგადოებას ნება აქვს, გაჰმართოს თვისი განყოფილებანი რუსეთის იმპერიის ყველა ქალაქში, მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრის—ნება-დართვით-კი.

ეჩმიაძინი. გუშინ სრულიად სომხების კათალიკოსმა შეასრულა წესი მირონის კურთხევისა. რამდენიმე ათასი კაცი სომეხი დაესწრო ამ ამბავს. სომხები იყვნენ მოსულნი რუსეთიდამ, ავსტრიიდამ, რუმინიიდამ, ბოლგარიიდამ და ინდოეთიდამ.

სოფია. სტამბულოვი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა. მკურნალნი ამბობენ, რომ მისი მორჩენა პირველ ნოემბრისთვის, ესე იგი იმ დღისთვის, როცა დანიშნულია საერო კრებანი, შეუძლებელიაო.

2 ოქტომბერი

პეტერბურგი. „Гражд.“ ი ამბობს რომ განხილვა საქალაქო რეფორმისა შესახების ამ პროექტისა სახელმწიფო საბჭოს მიერ მხოლოდ იანვარს შემდეგ თუ მოხერხდებაო.

ვარშავა. გუშინ მობრძანდნენ აქ მათნი უდიდებულესობანი უავგუსტოესის სახლობით. სამეფო მატარებელი გაჩერებულ იქმნა სასახლესთან, სადაც მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ მთავრობის წარმომადგენელნი და საპატიო ყარაულიც, შემდგარი მისის უდიდებულესობის ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკისაგან. პატარა ხანს უკან მემუსიკეთ დაუკრეს საერო საგალობელი და სამეფო მატარებელი გაუდგა გზას.

სევასტოპოლი. აქ მობრძანდა გენერალ ფელდ ცეიხმეისტერი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ნაოსნობის ერთ-ერთს კრებაზე ერთხმად მოწონებულ იქმნა სრულიად ახალი პროექტი მათემატიკოსის ვ. ვ. მალინინისა, ვოლგაში წყლის მომატების ანუ ამაღლების შესახებ. პროექტის აზრით, უნდა გაკეთდეს ხუთი სათადარიგო აუზი ტვერსა და კამას შესართავ შუა და ამ აუზებიდამ უნდა იქმნას გამოშვებული წყალი საჭიროებისამებრ. ერთხნობით საჭიროა დაიხარჯოს ხუთიდამ შვიდ მილიონ მანეთამდე. კრებამ უნდა მიჰმართოს თხოვნით ამ საქმის გამო გზათა მინისტრს.

კატარო. აქ მოვიდა გემით „როკსანა“ გიორგი მაქსიმილიანის ძე, გერცოგი ლეიხტენბერგისა, მეუღლითურთ და მაშინვე გაემგზავრა ცეტინიაში.

სოფია. მთავრობამ მოუწოდა სინოდს რუშჩუკის მიტროპოლიტის თავსმჯდომარეობით. სტამბულოვი ჯერ კიდევ ავად არის.

ბაბა. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ მეფეს აღარ შეუძლიან განაგოს მძიმე საქმენი.

ბიარიც. აქ დიდის მთავრის მიხეილ მიხეილის ძის, საქალაქო მმართველობის კამიტეტის წევრთა და აქ მყოფ რუსთა თანადასწრებით ჩაჰყარეს საძირკველი რუსის ეკლესიისა. ქალაქი მორთულია ბაირაღებით და საღამოთი იქნება ჩირაღდანი ქალაქის ხარჯით.

პეტერბურგის ბირჟა, 28 სექტემ.

	მყიდველნი.		გამყიდველნი		გაყიდულია.	
	მან.	კ	მან.	კ	მან.	კ
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	—	„	—		6	44
ტამოჟნის კუპონები . .	—				129	
მანეთიანი ვერცხლის ფული.	1	14		„	—	
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	$228^{1}/_{2}$		—		—	
—მეორისა	$212^{1}/_{2}$		—		—	
—მესამისა	$210^{1}/_{2}$		—	„	214	„
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	—	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა . .	—	„	—	„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . .	—	„	—	„	—	„

მიმოსვლა ცეცხლის ვეშების შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რხგი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

განცხადებანი

სასწავლებელი ქალბატონის პუესტისა

კრუზენშტერნის ქუჩა № 9

ამზადებს ბავშვებს (ქალებს და ვაჟებს) ყველა სასწავლებელში მისაღებად. სხვათა შორის განსაკუთრებით ასწავლის ფრანგულსა და გერმანულს ენას. (15—11)

სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დავარდებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (40—20)

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება რასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიგხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

ტფილისის გამოფენა

ვერცხლისა. ოქროსი.

ЗАВОДЪ

МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ

А. А. ТУТАЕВА

Принимаются **постройки, ремонты** и **окраски домовъ, крышъ, фасадовъ, мостовъ, тумбъ и будокъ** на шоссейныхъ дорогахъ. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито типографическія, масляныя и сухія **краски, кисти, масла** и проч. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვყიდი ყოველნაირს ლიტო ტიპოგრაფიის და ზეთით გალესილს და მშრალს კრასკებს, ზეთს, კისტებს და სხ. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (Ремонтъ) და შეღებვას ხრეშ დაყრილ გზებზე ხიდებისას, ბუდკებისას და ბოძებისას. შემიძლიან გავგზავნო კრასკები ყველგან, მოთხოვნილობისამებრ. ქარხანა მაქვს იარმუკაზე, საეკკლესიო დუქნებში.

ა. თუთაევი

24—21

ოქროს მედალი

თამბაქოს ფაბრიკა

ნ. ი. ბოზარჯიანცაის

ტფილისში

მაქვს ბ-ნთ მოყვარულთათვის საუკეთესო თამბაქო და პაპიროსი ჩემის ფაბრიკისა, რომელშიაც დიდ-ძალის ოსმალეთისა და ადგილობრივ მოსულს საუცხოვო თამბაქოს თავდარიგია დაჭრილი. შემონაკვეთს მუშტრის გემოვნებაზედ და სწრაფად ვამზადებ. ჩემს მაღაზიაში ბევრი იპოვება საუკეთესო მოწყობილობა და მასალა თამბაქოს ხმარებისა. უცხო-ქვეყნელთა შემონაკვეთს დაუყოვნებლად ვასრულებთ. ფაბრიკის უმთავრესი მაღაზია იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკის, არწრუნისეულს სახლში.

(25—15)

სახის სილამაზე

არყის ხის ემულსია

ა. ენგლუნდის კოსმეტიკა.

ეს საშუალება გამოგონილია სახის ჭორფლისა, ლაქისა, მეწუკისა, ფერის-მჭამელასი და სხვ. წინაალმდეგ. არყის ხის ემულსის ხმარების დროს სახის კანი ძალიან ნაზი ჰხდება და სითეთრე-სისპეტაკე ეძლევა, ჭმუხვნსა და ნაყვავილარს შეუმჩნეველს აქცევს. ეს ემულსია ზამთარში დიდად საჭიროა კანის დასკდომისაგან, რომელსაც სიცივე და ყინვა გამოიწვევს ხოლმე. თითო შუშა ღირს გაგზავნით 3 მან. სიყალბის ასაცილებლად გთხოვთ, რომ ყოველს ეტიკეტზედ ნახოთ წითელის მელნით მოწერილი ა. ენგლუნდის გვარი და სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიის მარკა. უმთავრესი საწყობი იმყოფება ს.-პეტერბურგს, უმთავრესს საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინის ქუჩაზე, 38.

5—4

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

„ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

Доз. цен. Тифлисъ, 2-го Октября 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик, д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე